სისულელის მეექვსე კანონი და სისულელის ამოფრქვევა

მურმან მარგველაშვილი

აპრილი-ივნისი 2026

მოკლე შინაარსი

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს კარლო ჩიპოლას „ადამიანური სისულელის კანონების“ სისტემური განვითარების და რეალური საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების ინტერპრეტაციისთვის გამოყენების მცდელობას. ამ მიზნით შემოთავაზებულია ორი ცნება — „სისულელის მეექვსე კანონი“ და „სისულელის ამოფრქვევა“. ადამიანური სისულელე, რომელიც ჩიპოლასთან გაგებულია როგორც ინდივიდის მიერ სხვებისთვის ზიანის მიყენება საკუთარი სარგებლის გარეშე, ტექსტში განზოგადებულია საზოგადოებათა თვითდამაზიანებელი ქცევის დონეზე. წარმოდგენილი ინტერპრეტაციით, თუ ჩვეულებრივ პირობებში ინდივიდუალური სისულელე იზღუდება თანაცხოვრების ნორმებით, ინსტიტუტებითა და მორალური ჩარჩოებით; მათი დასუსტების ან დამახინჯებისას, ეს დამაზიანებელი იმპულსები შეიძლება გახდეს კოლექტიური, პოლიტიკურად გამოყენებადი და ინსტიტუციურად გამყარებული ძალა. ტექსტი განიხილავს ამ პროცესის ინდივიდუალურ, კოლექტიურ და მმართველობით მხარეებს და სთავაზობს კონსტრუქციული პასუხების ჩარჩოს. ტექსტი არ არის სამეცნიერო კვლევა ან რომელიმე ჯგუფების მონიშვნის მცდელობა; იგი განკუთვნილია შემდგომი განსჯის და დახვეწისთვის.

ავტორის შენიშვნა: *კარლო ჩიპოლას „ადამიანური სისულელის კანონები“ და დანინგ-კრუგერის ეფექტი WEG-ში დიდი ხანია ახალმოსულთათვის პროფესიული თავმდაბლობისა და თვითკრიტიკული აზროვნების განსავითარებელ სავალდებულო საკითხავად და ჩვენი ხედვის ნაწილად იქცა. თუმცა ბოლო წლებში მსოფლიოში და ჩვენთან განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ამ ცნებებს ბევრად უფრო ღრმა გამოყენება შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გიზიარებთ ამ მხრივ ნაფიქრს იმ იმედით, რომ თქვენც დაგეხმარებათ გარემოებათა გააზრებაში. აქვე გავიმეორებ: სისულელე არ არის გონებრივი ნაკლი; იგი დამაზიანებელი ქმედებაა და ვერ მიეწერება რომელიმე სხვა ნიშნით შერჩეულ ადამიანთა ჯგუფს.*

შინარსი

3. შესავალი

2.ინდივიდუალური სისულელე *ადამიანთა ტიპები და ადამიანური სისულელე*....4

ადამიანური სისულელის ხუთი ძირითადი კანონი.....6

სისულელის ანატომია.....7

სისულელის მეექვსე კანონი — დათრგუნული სისულელე.....8

3. კოლექტიური სისულელე და გონიერთა პასუხისმგებლობა.....10

სისულელის ამოფრქვევა.....10

კოლექტიური სისულელის დამკვიდრება.....12

გონიერთა პასუხისმგებლობა.....14

4. სულელური მმართველობა და მასთან ურთიერთობა.....15

სულელური მმართველობა.....15

სულელური მმართველობის მახასიათებლები.....16

გონიერთა სამოქმედო პრიორიტეტები.....17

5. ურთიერთობა სულელებთან.....19

სისულელის ადრეული აღმოჩენა.....20

სულელებთან ურთიერთობის სისტემური გამოწვევები.....21

6. მენტალური მოდელების ცვლილება.....23

1. შესავალი

ბოლო წლებში კაცობრიობა შედარებით სტაბილური განვითარების და თანამშრომლობის რეჟიმიდან სულ უფრო აშკარად გადადის დაპირისპირების, ქაოსისა და დანაწევრების ეპოქაში. ეს ერთდროულად ხდება როგორც სახელმწიფოების შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვხედავთ დამპყრობლურ ომებს, ავტორიტარულ რეპრესიებს, საზოგადოებების პოლარიზაციას, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ეროზიას და იმ ნორმების შესუსტებას, რომლებიც აქამდე თანაცხოვრებასა და თანამშრომლობას იცავდა.

საჯარო ცხოვრებაში ფაქტები, ცოდნა და არგუმენტები ხშირად მნიშვნელობას კარგავს. მათ ადგილს იკავებს გამრუდებული რეალობა, ქრება ნდობა, ინერგება სიძულვილი, დაპირისპირება და ძალადობა. ვიწრო პირადი თუ ჯგუფური ინტერესები სულ უფრო დაუფარავად ავიწროებს საზოგადოებრივს; ზიანდება მოქალაქეობის, სახელმწიფოებრიობის, მორალის, რელიგიისა და

თანაცხოვრების ის პრინციპები, რომლებზეც ადამიანური ერთობა დგას. თანმიმდევრულად სუსტდება ინსტიტუტები, იზრდება აგრესია და ნადგურდება როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი კეთილდღეობა.

ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც თანამშრომლობა, კეთილგანწყობა და ღირსების პატივისცემა ბუნებრივი ნორმაა. მათთვის ძნელად ასახსნელია თანამოქალაქეთა აგრესია, ახლობლების გულგრილობა, ინსტიტუტების სისასტიკე, საღი აზრის უკანდახევა და ადამიანური ღირსების გაუფასურება. ასეთ დროს ბუნებრივად იბადება პროტესტი, იმედგაცრუება, ზოგჯერ კი განრიდების სურვილიც.

თუმცა მხოლოდ პროტესტი ან განრიდება ვერაფერს ცვლის. თუ გვინდა, რომ საზოგადოებაში ცივილიზებული თანაცხოვრების პირობები აღდგეს, საჭიროა ემოციური რეაგირებიდან უფრო გააზრებულ, პასუხისმგებლიან და ქმედით მდგომარეობაზე გადასვლა. ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ აღშფოთება, არამედ ობიექტიდან სუბიექტად გადაქცევა, გარემოებების ცივი გონებით დანახვა, მიზეზების გარჩევა და ეფექტური ზემოქმედების წერტილების მოძებნა.

ამ საქმეში ორი მნიშვნელოვანი საყრდენი შეიძლება გამოგვადგეს: სისტემური ხედვა და იუმორი. ორივე გვაძლევს საშუალებას, მძიმე ემოციურ ფონს გავცდეთ და მოვლენები მხოლოდ ზედაპირზე კი არა, მათ სიღრმეშიც დავინახოთ. სისტემური აზროვნება გვეხმარება გავარჩიოთ, რა დგას ხილული მოვლენების უკან — რა ტენდენციები, რა ურთიერთკავშირები და რა სტრუქტურები ამოძრავებს მათ. იუმორი კი, როცა ის ჯანსაღი და გამჭოლია, ამცირებს შიშს, აშორებს პათოსს და ზოგჯერ ყველაზე რთულ რეალობასაც უფრო მკაფიოდ დაგვანახებს

ამ გზაზე ერთ-ერთ საინტერესო მეგზურად შეიძლება გამოდგეს იტალიელი ეკონომიკის ისტორიკოსის, კარლო ჩიპოლას ცნობილი ესე — *ადამიანური სისულელის ძირითადი კანონები*. მიუხედავად მისი ირონიული ტონისა, ეს ტექსტი გვთავაზობს არა მხოლოდ მახვილგონივრულ დაკვირვებას, არამედ სერიოზულ ჩარჩოსაც იმის გასააზრებლად, თუ რატომ შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამაზიანებელმა, ირაციონალურმა ქმედებამ ასეთი დიდი ადგილი დაიკავოს.

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ამ ჩარჩოს განვითარებისა და გაფართოების მცდელობაა. მისი მიზანი არ არის კონკრეტული ადამიანების ან ჯგუფების მონიშვნა. ეს უფრო სააზროვნო სქემაა, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს ჩვენი დროის მოვლენებში გარკვეული ლოგიკის, განმეორებადი მექანიზმებისა და შესაძლო გამოსავლების დანახვაში. მისი მისადაგება კონკრეტულ მოვლენებთან და პირებთან თუ ჯგუფებთან თავად მკითხველის განსჯისა და პასუხისმგებლობის საკითხია.

2. ინდივიდუალური სისულელე

ადამიანთა ტიპები და ადამიანური სისულელე

ადამიანები არ არიან შექმნილი ერთი თარგით - ზოგი ჭკვიანია და ზოგი ნაკლებად ჭკვიანი; ზოგი მეტად ეგოცენტრულია, ზოგი ნაკლებად. **გონიერები** ნაკლებ გონიერებისგან გამოირჩევიან

იმით, რომ უკეთესად აცნობიერებენ გარემოს და ფართო სივრცითი და დროითი თვალთახედვა აქვთ. მათი ინტერესები ადამიანთა უფრო ფართო წრეზე (სამეზობლო, ქალაქი, მომავალი თაობა, ერი, კაცობრიობა) ვრცელდება და უფრო გრძელვადიანია (წლები, ათწლეულები, ისტორიული პერსპექტივა), ხოლო თვალსაწიერი მოიცავს მრავალ განზომილებას, როგორც მატერიალურს ასევე სულიერს. მათთვის სამყარო თავგადასავალი და გააზრებული მოქმედების არეალია, რომელსაც ისინი იყენებენ საკუთარი თავის და სხვათა სასარგებლოდ, არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ გრძელვადიანი ხედვით. მათ გააჩნიათ უნარი საზოგადოებრივი სიკეთის გამრავლების და გაძლიერებისა.

ნაკლებ გონიერების თვალთახედვა და ინტერესები უფრო შეზღუდულია როგორც დროში (დღეს და ახლა) ასევე სივრცეში - (მე, ოჯახი, კლანი, „გუნდი“) ისინი სამყაროს შესახებ ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ, მისი მრავალი განზომილება მათთვის შეზღუდულია უფრო ვიწრო, მატერიალური სფეროთი, ხოლო ფერადოვნების ჰარმონია კი დაიყვანება შავ-თეთრის დაპირისპირებაზე. სამყაროს მრავალფეროვნება მათთვის უფრო გამოწვევა და გამაღიზიანებელია ვიდრე შესაძლებლობა. სამაგიეროდ მათ უკეთ აქვთ განვითარებული ინსტინქტები. ამ ინსტინქტებით, შეზღუდული თვალთახედვით, ისინი მოქმედებენ, უმეტესად სხვების და ხშირად საკუთარი თავის საზიანოდაც. მათი ქმედება საზოგადოებრივ სიკეთეს ამცირებს და მთელ საზოგადოებაზე ცუდად აისახება. ასეთი ადამიანების დასახასიათებლად გამოიყენა კარლო ჩიპოლამ განსაზღვრება - **სულელები** - ხალხი ვინც სხვებს აზიანებს სარგებლის გარეშე და ზოგჯერ საკუთარი თავის საზიანოდ.

ეკონომიკური თვალთახედვით მან ადამიანები დაყო კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რა შედეგი მოაქვს მათ ქცევას საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. თან შეაფასა ამ კატეგორიების წარმომადგენელთა გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. კერძოდ: **ბანდიტები,** საკუთარი სარგებლის მისაღებად მზად არიან სხვები დააზიანონ, თუმცა ამით საზოგადოების ჯამური სიკეთე არსებითად არ იცვლება, ვინაიდან ფასეულობა არ იქმნება და არ ნადგურდება, არამედ ხელიდან ხელში გადადის. ასეთივე შედეგია როდესაც **უმწეოები** თავს ვერ იცავენ და თავის სიკეთეს სხვას გადასცემენ. **გონიერებს** სარგებელი მოაქვთ საკუთარი თავის და სხვებისთვის, რითაც საზოგადოებრივ სიკეთეს ამრავლებენ. გამორჩეული კატეგორია არის **სულელები** - ვინც სხვას აზიანებს “უანგაროდ”, ისე, რომ თავად არანაირი სარგებელი არა აქვთ, ზოგჯერ საკუთარი თავის საზიანოდაც. სულელების მოქმედება ჯამურ საზოგადოებრივ სიკეთეს ანადგურებს და ამით ისინი გამორჩეულად საშიში არიან.

რა თქმა უნდა, ადამიანთა ეს დაყოფა აბსოლუტური არ არის და ყველამ შეიძლება გამოავლინოს სხვადასხვა თვისება სხვადასხვა სიძლიერით და სხვადასხვა დროს, თუმცა ჩიპოლას დაყოფა ეხება მათ საშუალო, ტიპიურ ქცევას.

საყურადღებოა - რომ სისულელე არის არა გონებრივი შესაძლებლობების არამედ ქმედების და მისწრაფების შეფასება. შედეგი იზომება საკუთარი თავის და სხვებისთვის სარგებლის ან ზიანის მოტანით და ამდენად თუნდაც თვისობრივ შეფასებას ექვემდებარება.

ადამიანური სისულელის ხუთი ძირითადი კანონი

თავის ესეში კარლო ჩიპოლამ ჩამოაყალიბა ადამიანური სისულელის ძირითადი კანონები, რომელთა შინაარსიც ასე შეიძლება გადმოიცეს:

პირველი: სულელების რაოდენობა ჩვენს გარშემო აღემატება ყოველგვარ გონივრულ მოლოდინს.

მეორე: სულელად ყოფნის ალბათობა არ არის დამოკიდებული ადამიანის სხვა თვისებებზე. სხვა სიტყვებით, სულელების წილი მეტ-ნაკლებად ერთნაირია ადამიანთა ყველა დიდ ჯგუფში — განურჩევლად პროფესიის, სოციალური სტატუსის, განათლებისა თუ სხვა კუთვნილებისა.

მესამე: ადამიანებს შორის, გონიერთა და სულელთა გარდა, არსებობენ ასევე ბანდიტები და უმწეოები — ისინი, ვინც, შესაბამისად, სხვის ხარჯზე იღებენ სარგებელს ან პირიქით, სხვის სასარგებლოდ ზარალდებიან. ეს არის ზემოთ აღწერილი ძირითადი კატეგორიზაცია.

მეოთხე: გონიერი ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ სულელთა დამანგრეველ ძალას და ვერ აცნობიერებენ, რომ მათთან საქმის დაჭერა ყოველთვის საზიანოა.

მეხუთე: სულელები ყველაზე საშიში ტიპის ადამიანები არიან — ხშირად უფრო საშიშნიც, ვიდრე ბანდიტები. მიზეზი ის არის, რომ ბანდიტის ქცევაში მაინც ჩანს ანგარება და გარკვეული გათვლა, ხოლო სულელის მოქმედება ირაციონალურია, პროგნოზს არ ექვემდებარება და საზოგადოებრივ სიკეთეს უშუალოდ ანადგურებს. განსაკუთრებით საშიშია მათი ძალაუფლებასთან სიახლოვე, რადგან ამ შემთხვევაში მათი დამაზიანებელი ძალა მნიშვნელოვნად იზრდება.

ჩიპოლას ტექსტში ამ კანონების მახვილგონივრული და ხშირად ირონიული ახსნა თავად მოიძებნება. თუმცა ავტორი ზოგიერთ მნიშვნელოვან კითხვას ღიად ტოვებს. მაგალითად:

- რატომ არის გონიერი ადამიანებისთვის ასე მოულოდნელად დიდი სულელების რეალური რაოდენობა?
- რატომ შეიძლება მეცნიერთა, მძღოლთა, ბიზნესმენთა, საჯარო მოხელეთა თუ სხვა ნიშნით შერჩეულ ადამიანთა შორის სულელების წილი დაახლოებით ერთნაირი იყოს?
- რატომ ტყუვდებიან გონიერი ადამიანები ისევ და ისევ, და რატომ იჭერენ საქმეს სულელებთან?

ამ კითხვებზე პასუხი ჩიპოლასთან სრულად ჩამოყალიბებული არ არის. სწორედ აქედან იწყება ჩვენი შემდგომი მსჯელობაც. თუ გვინდა უკეთ გავიგოთ, რატომ იძენს დამაზიანებელი ქცევა ზოგჯერ ასეთ მასშტაბს, საჭიროა ვცადოთ და თავად სისულელის შიდა წყაროებს, მის ანატომიას დავაკვირდეთ.

და სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა ჩიპოლას ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დასკვნა:

„ქვეყანაში, რომელიც რეგრესის გზაზეა, სულელი ადამიანების წილი უცვლელია, თუმცა მოსახლეობის დანარჩენ ნაწილში შეინიშნება, რომ ძალაუფლების გარშემო იკრიბება

სისულელისკენ მიდრეკილ ბანდიტთა შემაშფოთებელი რაოდენობა, ხოლო ძალაუფლების არმქონეთა შორის — უსუსურთა რიცხვის საგანგაშო ზრდა. ასეთი ცვლილება გონიერ მოსახლეობაში გარდაუვლად აძლიერებს სულელთა დამანგრეველ ძალას, რაც ქვეყნის დაღმასვლას აჩქარებს და დაღუპვას გარდაუვალს ხდის.“

ეს უკვე მხოლოდ ინდივიდუალური ქცევის აღწერა აღარ არის. აქ ჩიპოლა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სისულელეს, გარკვეულ პირობებში, შეიძლება სისტემური და საზოგადოებრივი შედეგებიც ჰქონდეს. სწორედ ამიტომ ღირს ამ ცნებებში მეტი ჩაღრმავება და იმის გარკვევა, **რა ამოძრავებს სისულელეს და როგორ მუშაობს იგი ადამიანის შიგნით**.

სისულელის ანატომია

სისულელე დროდადრო ყველას გვახასიათებს, ისევე როგორც გონიერება და უმწეობა; ხანდახან კი შეიძლება წავიბანდიტოთ კიდეც. მაგრამ ერთჯერადი სულელური საქციელი და შინაგანი, მდგრადი სისულელე ერთი და იგივე არ არის. სულ სხვაა, როდესაც ადამიანი თანმიმდევრულად და სისტემატურად ესწრაფვის სხვების დაზიანებას რაიმე ხილული სარგებლის გარეშე — ზოგჯერ საკუთარი თავის და ყოველთვის საზოგადოების საზიანოდ.

რატომ შეიძლება ადამიანი ასე მოქმედებდეს? რატომ აზიანებდეს სხვებს ისე, რომ ამით რეალურ სარგებელს ვერ იღებდეს? ამის რამდენიმე შესაძლო საფუძველი არსებობს.

ა) ინტელექტის და განათლების ნაკლი — გარემოს შემეცნების, გარემოებების გაცნობიერების და საკუთარი ქმედების შედეგების განჭვრეტის უუნარობა. ასეთი ადამიანები ხშირად ვერ ხედავენ, რა მოჰყვება მათ ქცევას და ამიტომ უფრო უნებლიედ აყენებენ ზიანს სხვასაც და საკუთარ თავსაც, ვიდრე გამიზნულად. თუმცა, მათი უმეცრების გამო ეს ზიანი სისტემატურად მეორდება.

ბ) მორალური ნაკლი — უგრძნობლობა, ემპათიის ნაკლებობა და შინაგანი აგრესიულობა. ეს შეიძლება ფსიქოლოგიური დეფიციტის, ცხოვრებისეული წყენების, წარუმატებლობის, შურის ან ბავშვობის ტრავმების შედეგი იყოს. ასეთი ადამიანი სხვის ზიანს ადვილად უვლის გვერდს, ან მას შინაგანად ამართლებს. ზოგჯერ სხვისი დაზიანება მისთვის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი შურისძიების ან კომპენსაციის ფორმაც ხდება. ეს უკვე ფსიქოლოგების სფეროა და სჯობს მათ დავუთმოთ.

გ) სუსტი ნება და შინაგანი თავისუფლების ნაკლებობა — რაც ადამიანს გარემოებების, ავტორიტეტის ან ჯგუფური ზეწოლის მსხვერპლად აქცევს. ასეთები შეიძლება სხვას აზიანებდნენ ისე, რომ ამისგან პირადი სარგებელი არ ჰქონდეთ. ამის მაგალითია კრიმინალურ ჯგუფში ავტორიტეტის მიბაძვა, სკოლაში ბულინგში მონაწილეობა, განსხვავებულების ან უმცირესობების დევნა. სუსტი ნების ადამიანები ასეთ საქციელს თავიდან ვერ ეწინააღმდეგებიან, შემდეგ მას ეგუებიან და საბოლოოდ შეიძლება მისი აქტიური მონაწილეებიც კი გახდნენ.

ეს სამი საფუძველი ერთმანეთისგან იზოლირებული არ არის. პირიქით, ისინი ხშირად ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთს აძლიერებს.

მაგალითად, ადამიანი, რომელიც გარემოს ვერ იგებს და საკუთარი ქმედების შედეგებს ვერ ხედავს, მუდმივად აწყდება იმედგაცრუებასა და მოულოდნელობას. ეს კი გაღიზიანებას ბადებს და შინაგან აგრესიას აძლიერებს.

ასევე, სუსტი ნების ადამიანი ადვილად ემორჩილება გარე ზეწოლას და სხვების მოთხოვნებს, რასაც შეიძლება შინაგანი პროტესტი მოჰყვეს. გარედან დამყოლობა და შიგნიდან დაგროვილი წყენა ხშირად სწორედ აგრესიის წყაროდ იქცევა.

კიდევ ერთი მაგალითია შემთხვევა, როცა სუსტი ნება და კოგნიტიური სისუსტე ერთად მოქმედებს: ადამიანი იღებს დოგმებს, წესებს ან იდეოლოგიურ მოთხოვნებს გააზრების გარეშე, იზეპირებს ცოდნის ნაცვლად და ემორჩილება შინაგანი გადამუშავების გარეშე. ეს კიდევ უფრო ამცირებს მის შემეცნებით უნარს, აღრმავებს შინაგან დაუკმაყოფილებლობას და აძლიერებს სულიერ სიცარიელეს.

ამგვარად, ყოველ ინდივიდში ეს თვისებები შეიძლება სხვადასხვა კომბინაციით და სხვადასხვა სიმძლავრით გვხვდებოდეს. თუმცა მათ საერთო ბირთვი ერთი აქვს: სხვებისთვის „უანგაროდ“ ზიანის მოტანა. სწორედ ამიტომ მიესადაგება მათ სისულელის ეს განსაზღვრება.

სისულელის მეექვსე კანონი — დათრგუნული სისულელე

ჩიპოლას კანონების ლოგიკურ ახსნას შეიძლება იძლეოდეს ამ წერილების ავტორის შემოთავაზებული **მეექვსე კანონი — დათრგუნული სისულელე**.

მოდით ვიკითხოთ: თუ სულელების რაოდენობა მართლაც აღემატება ჩვენს ყოველგვარ გონივრულ მოლოდინს, მაშინ რატომ ვერ ვხედავთ მათ ყოველთვის და ყველგან? რა გვიცავს მათი დამანგრეველი ძალისგან?

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი თანაცხოვრების ის ჩარჩოები, რომლებიც ადამიანთა ქცევას ზღუდავს და არეგულირებს. ასეთებია ოჯახის ტრადიციები, თემური და ეროვნული თვითშეგნება, რელიგიური და მორალური წესები, კანონი და სახელმწიფო ინსტიტუტები, კორპორატიული ეთიკა და სხვა დაუწერელი თუ დაწერილი ნორმები. იუვალ ნოა ჰარარის რომ დავესესხოთ, ეს არის ის „ამბები“, ის საერთო წარმოდგენები და მნიშვნელობათა სისტემა, რომლებიც ადამიანთა დიდ ჯგუფებს თანამშრომლობის შესაძლებლობას აძლევს.

ოჯახი მოითხოვს სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთმხარდაჭერას და ერთგულებას. თემი, ტრადიცია და ეროვნული თვითშეგნება ადამიანს უფრო ფართო ერთობას აკუთვნებს და მისგან თანადგომას ითხოვს. რელიგია და მორალური კოდექსები ზღუდავს აგრესიას და ადამიანს სხვის მიმართ თავშეკავებასა და პასუხისმგებლობას ახსენებს. სახელმწიფო კანონისა და ინსტიტუტების მეშვეობით კრძალავს სხვისი უფლებებისა და ინტერესების ხელყოფას და შურისძიების სპონტანურ ლოგიკას სამართლებრივი წესრიგით ანაცვლებს. კორპორატიული თუ სხვა ჯგუფური ეთიკა კი თანამშრომლობის მინიმალურ ჩარჩოს ქმნის და ჯგუფის შიგნით ურთიერთდაზიანებას ზღუდავს.

მსგავსად სახელმწიფოს შიგნით მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოებისა, სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო სამართალი და ნორმები გლობალური თანამშრომლობის ინსტრუმენტებია. ისინი ნაკლებად იძულებითია და მეტად შეთანხმებასა და ნებაყოფლობითობაზეა

დამყარებული, მაგრამ მათი ფუნქციაც იგივეა — შეზღუდოს თვითნებური დაზიანება და თანამშრომლობის მინიმალური წესრიგი შექმნას.

ყველა ეს ჩარჩო განსხვავებულია, მაგრამ მათ საერთო ფუნქცია აქვთ: თითოეული თავისებურად მოითხოვს ლოიალობას, თვითშეზღუდვას, წესების დაცვას და თანამშრომლობას. სწორედ ამ გზით ზღუდავენ ისინი ადამიანთა ურთიერთდაზიანებას მცირე ჯგუფებშიც — ოჯახში, თემში, ორგანიზაციაში — და დიდ ერთობებშიც — სახელმწიფოში, ერში, კაცობრიობაში. ამავე დროს, ისინი ზღუდავენ სულელების ინსტინქტურ და ბანდიტების გააზრებულ ლტოლვას სხვათა დაზიანებისკენ და ამით ადამიანთა ერთობას, თანამშრომლობას და საერთო წარმატებას შესაძლებელს ხდიან.

აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. ეს წესები და ნორმები გონიერი ადამიანებისთვის მხოლოდ გარეგანი შეზღუდვა არ არის. ისინი მათ შინაგანადაც ესმით და მეტ-ნაკლებად იზიარებენ, რადგან მათი გონებრივი და სულიერი ჰორიზონტი საკმარისად ფართოა იმისთვის, რომ დაინახონ ამ ნორმების ღრმა დანიშნულება — თანაცხოვრების, თანამშრომლობისა და საერთო სიკეთის უზრუნველყოფა.

სულელებთან საქმე სხვაგვარად არის. მათთვის ეს წესები შემზღუდავ და დიდწილად გაუგებარ ჩარჩოდ რჩება. ის, რასაც გონიერი შინაგანად იღებს როგორც თანაცხოვრების პირობას, სულელმა შემოსაზღვრული თვალსაწიერის გამო, შეიძლება მიიღოს უფრო დოგმატურად, ფორმალურად ან იძულებით. ისინი ემორჩილებიან წესს არა იმიტომ, რომ მის შინაარსს იზიარებენ, არამედ იმიტომ, რომ ასეა მიღებული. ამით კი აქ ითრგუნება მათი სისულელე.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა (მეექვსე კანონი):

სულელები თავიანთ ქმედებებში შეზღუდული არიან ადამიანური თანაცხოვრების მიღებული წესებითა და ნორმებით. ისინი თავიანთ ნამდვილ არსს ძირითადად არასტანდარტულ სიტუაციებში ავლენენ — მაშინ, როცა ეს წესები აღარ მოქმედებს, სუსტდება, ან თავად ხდება დამაზიანებელი და სულელური.

ეს მოსაზრება, ერთის მხრივ, ხსნის, რატომ ვერ ვაფასებთ სათანადოდ სულელების რეალურ რაოდენობას. ყოველდღიურ, ნორმირებულ გარემოში მათ ქცევას ჩარჩოები ზღუდავს და მათი ბუნება ბოლომდე არ ჩანს. მეორეს მხრივ, ეს დასკვნა შემაშფოთებელიც არის: გამოდის, რომ ჩვენს გარშემო სახიფათო ადამიანების რაოდენობა შეიძლება ბევრად მეტი იყოს, ვიდრე გვგონია.

ამავე დროს, ეს ხსნის ჩიპოლას მეოთხე კანონის სიღრმესაც. გონიერი ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ სულელთა ზიანის მომტან ძალას, რადგან ჩვეულებრივ ვითარებაში მათ ქცევას ბუნებრივ მისწრაფებებს აკავებს საზოგადოებრივი წესი, ნორმა და ინსტიტუტი. მაგრამ როგორც კი ეს ჩარჩოები მოიშლება, დასუსტდება ან დამახინჯდება, ის, რაც მანამდე დათრგუნული იყო, შეიძლება სწრაფად და ძალუმად გამოვლინდეს.

ამგვარად, სისულელისგან დაცვა ვერ დაიყვანება მხოლოდ ინდივიდუალურ სიფრთხილეზე. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იმ დამცავი მექანიზმების შენარჩუნება და გაძლიერება, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრებას ამაგრებს და დამაზიანებელ ქცევას ზღუდავს. სწორედ

აქედან ჩნდება უფრო ფართო კითხვებიც: შესაძლებელია თუ არა საზოგადოებაში სულელების რაოდენობის შემცირება? როგორ გავაძლიეროთ გონიერნი, რომ მათ თავიანთი მოქმედებით საზოგადოებრივი სიკეთე გაამრავლონ — ყველასთვის, მათ შორის სულელებისთვისაც? როგორ მოვიქცეთ, რომ სულელების დამაზიანებელი ძალა კონტროლს ექვემდებარებოდეს და საზოგადოებაზე დამანგრევლად არ მოქმედებდეს?

ამ კითხვებზე პასუხს მხოლოდ სისტემური ხედვა არ ყოფნის; საჭიროა ღრმა ინტერდისციპლინური ცოდნაც — ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, პოლიტიკის კვლევაში, განათლებაში, ეთიკაში და სხვა სფეროებში. ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა უნდა მივიღოთ არა როგორც სამეცნიერო კვლევა, არამედ როგორც ინტელექტუალური ვარჯიში და ლოგიკური ჩარჩოს მონიშვნა, რაც სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა კრიტიკის ან დისკუსიის და თანამშრომლობის საგნად შეიძლება იქცეს. იმედი გვაქვს რომ მიუხედავად შესაძლო ხარვეზების რისკებისა ეს მსჯელობა მაინც სასარგებლო წამოწყებაა.

3. კოლექტიური სისულელე და გონიერთა პასუხისმგებლობა

წინა წერილში მოყვანილი მსჯელობიდან ერთი სამწუხარო დასკვნა გამომდინარეობს: ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების საგრძნობი ნაწილის გონივრული ქცევა ხშირად მათი შინაგანი ბუნებიდან კი არ მოდის, არამედ მიღებული ქცევის ნორმებისადმი დაქვემდებარების შედეგია. ამ ჩარჩოების მოშლის ან გაუკუღმართების შემთხვევაში ისინი ადვილად გადადიან საზიანო ქმედებებზე და ამჟღავნებენ ადრე დათრგუნულ სისულელეს — სხვათა დაზიანების მიდრეკილებას.

სისულელის ამოფრქვევა

სისულელის მეექვსე კანონის თანახმად, სულელები ვერ ერგებიან და ვერ ითავისებენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმებს, ინსტიტუტებსა და კანონებს. ეს ჩარჩოები მათ ირაციონალურ და დამაზიანებელ ქმედებებს ზღუდავს, ამიტომ მათთვის ხშირად შინაგანად მიუღებელი და გაუგებარია. ისინი სათანადოდ ვერ ერგებიან ვერც უფრო ფართო რეალობას — მონაცემებსა და ფაქტებს, მეცნიერების, კულტურისა და სულიერების მიღწევებს. ეს ყველაფერი მათთვის ხშირად გარეგანი, უცხო და თავსმოხვეულია და ამიტომ უკმაყოფილების წყაროდ იქცევა. დაგროვილი იმედგაცრუება, გაღიზიანება და დახშული აგრესია ჩვეულებრივ გარემოებებში კანონების, ტრადიციების, მორალისა და რელიგიური დოგმების ჩარჩოებით არის შეკავებული და დუღს საზოგადოების წიაღში — როგორც პლაზმა ტოკამაკის კამერაში.

თუ საზოგადოებას ამ მეტაფორით შევხედავთ, მდგომარეობა მანამდე რჩება კონტროლირებადი, სანამ შიდა ენერგია კრიტიკულ ზღვარს არ აღწევს და დამცავი კედლები მტკიცედ დგას. მაგრამ ეს ბალანსი შეიძლება დაირღვეს ორი გზით: ერთი მხრივ, შიგნით დაგროვილი უარყოფითი ენერგიის ზრდით; მეორე მხრივ, დამცავი მექანიზმების შესუსტებით.

პირველ შემთხვევაში, სულელებში დაგროვილი უკმაყოფილება, რომელიც გამოსავალს ეძებს, ადვილად შეიძლება იქცეს საშიშ იარაღად გარე მტრული ძალებისა და პოლიტიკური ავანტურისტების ხელში. ფსევდოპატრიოტული, ფსევდოტრადიციული და ფსევდორელიგიური

სენტიმენტების გამოყენებით, ჰიბრიდული მეთოდებითა და მანიპულაციური პროპაგანდით მათ შეუძლიათ ინდივიდუალური უკმაყოფილება კოლექტიურ სისულელედ გარდაქმნან და საკუთარი მიზნების სამსახურში ჩააყენონ.

ამ მიზნით იქმნება ცრუ საფრთხეებით გაჯერებული, გამრუდებული რეალობა და „მტრის ხატი“; საზოგადოება იყოფა თავისიანებად და მტრებად, ინერგება შიში და სიძულვილი, ღვივდება დაპირისპირება. ამ მანიპულაციების მიმართ განსაკუთრებით დაუცველები არიან შინაგანი უკმაყოფილებით აღსავსე ადამიანები, რომლებიც ამავე დროს ფართო თვალთახედვით არ გამოირჩევიან: ისინი პირველები ებმებიან პროპაგანდის მახეში, პირად წარუმატებლობას პირობით მტრებს უკავშირებენ და ახალი იდეოლოგიის მთავარ დასაყრდენად, ენერგიის წყაროდ და „შემტევ რაზმად“ იქცევიან.

აქ საჭიროა ერთი დაზუსტებაც: საზოგადოების დაყოფისა და პოლარიზაციის პირობებში სისულელე არ შეიძლება მხოლოდ რომელიმე ერთ მხარეს მიეწეროს. ჩიპოლას მეორე კანონის თანახმად, სულელების წილი მეტ-ნაკლებად ერთნაირია ყველა დიდ ჯგუფში. ამიტომ დაპირისპირების დროს ხშირად ირთვება თვითგამაძლიერებელი მექანიზმიც(უკუკავშირის მარყუჟი), სადაც ორივე მხარეზე არსებული სულელები ერთმანეთის აგრესიას კვებავენ, ზომიერ ხმებს ახშობენ და საერთო წნევას კიდევ უფრო ზრდიან. ცხადია, აქ ყველა მხარე ერთნაირ პასუხისმგებლობას არ ატარებს: ძალაუფლება, ორგანიზებულობა, პროპაგანდის რესურსი და ინსტიტუციურ ბერკეტებზე წვდომა შეიძლება მკვეთრად ასიმეტრიული იყოს. მაგრამ გონიერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საბოლოოდ საზოგადოებრივი ენერგია გარე მედეგობისა და განვითარების ნაცვლად შიდა დაპირისპირებაზე იხარჯება, ხოლო ქვეყანა უფრო ადვილად იქცევა მორჩილ მსხვერპლად.

ამოფრქვევის მეორე წინაპირობაა საზოგადოების იმუნიტეტისა და დამცავი სტრუქტურის მოშლა. ეს შეიძლება მოხდეს როგორც გარედან მიზანმიმართული მანიპულაციით, ისე შიგნიდან — ნელი ეროზიითა და გახრწნით.

გარე შეტევის ობიექტი ხდება საზოგადოების სამი ფუნდამენტური საყრდენი. პირველი — სამართალი და ინსტიტუტები: კნინდება კანონის უზენაესობა და ანგარიშვალდებულება, სუსტდება სამოქალაქო საზოგადოება და კონტროლის მექანიზმები; საჯარო ინსტიტუტები იცლება პროფესიონალებისგან და მათი საქმიანობა ექვემდებარება ჯგუფურ და არა ეროვნულ ინტერესებს. მეორე — ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობა: მახინჯდება სახელმწიფოებრიობის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციის განცდა; ირევა სახელმწიფო და ჯგუფური ინტერესი, ხოლო ქვეყნისთვის თავდადება იცვლება მმართველთა მიმართ ერთგულებით. მესამე — ცოდნა და სულიერება: კნინდება შემეცნება და სამეცნიერო ცოდნის პატივისცემა, იჩრდილება ნამდვილი რწმენა და სულიერება, იზღუდება ხელოვნება და კულტურის კერები და, საბოლოოდ, თავისუფლება. განსაკუთრებული შეტევის ობიექტებად იქცევიან საზოგადოებრივი ავტორიტეტები, რომლებსაც თავისი მორალური თუ პროფესიული სიძლიერით ინსტიტუციების, ცოდნისა და სულიერების დაცვა და მაგალითის მიცემა შეუძლიათ.

შიგა დეგრადაციაც ამავე პროცესის ნაწილია. როდესაც კანონი, ინსტიტუტები, მორალური და პროფესიული ავტორიტეტები, ასევე სასულიერო, სამეცნიერო და კულტურული წრეები გონიერთა უმოქმედობისა და სულელთა აქტიურობის ფონზე შიგნიდან იხრწნება, მათში ფეხს

იკიდებს კორუფცია, ფარისევლობა, ფორმალიზმი და შინაარსისგან დაცლა. ასეთ პირობებში საზოგადოების შეკავების მექანიზმები თანდათან კარგავს ძალას, ხოლო დაგროვილი აგრესია უფრო ადვილად პოულობს გარღვევის გზას.

საბოლოოდ, როდესაც პოლიტიკური მუხტი კრიტიკულ ზღვარს აღწევს და საზოგადოების დამცავი მექანიზმები საკმარისად დასუსტებულია, ხდება გარღვევა — ჩვეული თანაცხოვრების პირობების მოშლა და ახალი, დამაზიანებელი წესების დამკვიდრება. მორალურ პასუხისმგებლობას ფორმალურად იღებს ლიდერი ან პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დაპირისპირებას და ძალადობას „აუცილებლობად“ წარმოაჩენს და სიძულვილის ცეცხლს აღვივებს. სისულელე — ანუ სხვათა უმიზეზო დაზიანება — მკვიდრდება როგორც სტანდარტი, ხოლო სულელების დაგროვილი აგრესია ოსტატურად გამოიყენება უკონტროლო ძალაუფლების მოსაპოვებლად და მის გასამყარებლად. სწორედ ამ გარემოებებს შეიძლება სისულელის ამოფრქვევა დავარქვათ.

სულელებისთვის ეს არის ვარსკვლავური მომენტი. დგება დრო, როდესაც აღარ არის საჭირო ჩახშული მისწრაფებების მალვა და შესაძლებელია სხვებისთვის ზიანის მიყენებით სიამოვნების მიღება. ამაში მათ არც ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი გრძელვადიანი ხედვა, არც ღრმა სულიერება და ემპათია უშლით ხელს; პასუხისმგებლობას იღებს სხვა, ხოლო დანინგ-კრუგერის ეფექტი — უმეცრებით მინიჭებული სითამამე — ამ დამაზიანებელ იმპულსებს დამატებით აძლიერებს.

ეს ასევე ჭეშმარიტების მომენტია სხვებისთვის, ვინც ამ დროს ავლენს საკუთარ ნამდვილ არსს, რომელიც მანამდე ჩვეული ცხოვრების წესებისა და შეთანხმებების საფარველს იყო ამოფარებული. სწორედ აქ ჩნდებიან კონფორმისტები, მოსულელო ბანდიტები და უხერხემლოები, რომლებიც ადრე გონიერთა შორის თანაბარ პოზიციას იკავებდნენ.

ამოფრქვეული სისულელე ცვლის თანაცხოვრების წესებს და მათ ახალი რეალობით ანაცვლებს. ძალას კარგავს სოციალური კონტრაქტი, რომლის პირობებში ადამიანები ერთმანეთის საქმეებში ზედმეტად არ ერევიან და საკუთარ ქმედებებში მეტ-ნაკლებად თავისუფლები არიან; ირღვევა ჩვეული შეთანხმებები — რიგში დგომა, სხვისი სივრცის პატივისცემა, კეთილგანწყობა, პროფესიული ეთიკა. სულელები სულ უფრო მეტად ერევიან სხვათა საქმიანობაში, ამკვიდრებენ გამარტივებულ და სავალდებულო ქცევის წესებს და ცდილობენ საკუთარი შეზღუდული თვალსაწიერის ფარგლებში მოაქციონ ყველა დანარჩენი. ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფაშისტური, ბოლშევიკური, ნაციონალისტური, რელიგიური თუ სხვა ტიპის იდეოლოგიური ფუნდამენტალიზმი. ამ საფუძველზე ყოველდღიური ცხოვრება პოლიტიზდება, ნორმები მკაცრდება და განსხვავებულის დასჯის ინსტინქტი სისტემად ყალიბდება — იმარჯვებს კოლექტიური სისულელე.

კოლექტიური სისულელის დამკვიდრება

სისულელის ამოფრქვევის გარდამავალ ფაზაში ვითარება ჯერ კიდევ არასტაბილურია, ხოლო განვითარების ტრაექტორია — ბოლომდე ჩამოუყალიბებელი. ძალაუფლების გარშემო შეკრებილი სულელებისა და მოსულელო ბანდიტების მაღალი კონცენტრაცია თავისთავად ვერ უზრუნველყოფს საკმარის პროფესიულ და ინსტიტუციურ სტაბილობას, რათა ეკონომიკის,

სოციალური და უსაფრთხოების პრობლემები მართვად რეჟიმში გადავიდეს. ამიტომ ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოიქცევა მმართველი ელიტა, რამდენად ძლიერია ქვეყნის რესურსები და რამდენად აქტიურობენ გონიერნი.

ამ ეტაპზე პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად გადამწყვეტი ხდება „ჩუმი უმრავლესობის“ დაქვემდებარება და კოლექტიურ სისულელეში ჩათრევა. საზოგადოების ეს ფართო, ინერტული ფენა ჩვეულებრივი, კანონმორჩილი მოქალაქეებისგან შედგება. ისინი გაბატონებული წესების ფარგლებში ცხოვრობენ, იცავენ ტრადიციებს, ასრულებენ რიტუალებს, მონაწილეობენ ოჯახურ, პროფესიულ, სპორტულ თუ კულტურულ ცხოვრებაში და ამით არსებულ წესრიგთან თავიანთ კავშირს ადასტურებენ. მათთვის ბუნებრივია სტაბილურობა, პროგნოზირებადობა და დისკომფორტის თავიდან არიდება.

ნორმალურ გარემოში სწორედ ეს თვისებები ქმნის საზოგადოების მდგრადობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს. მაგრამ, როდესაც წესები სულელური და დამაზიანებელი ხდება, იგივე ინსტინქტი — წესრიგის შენარჩუნების, ადაპტაციის და თავის გადარჩენის სურვილი — მათ მართვად მასად აქცევს. ადმინისტრაციული ზეწოლისა და პროპაგანდის გავლენით მათ შეიძლება ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარონ გზა პასიური მაყურებლიდან პრაგმატულ კონფორმიზმამდე, ხოლო იქიდან — დამაზიანებელი ბრბოს აქტიურ წევრობამდე. სწორედ ამ დროს იქმნება კოლექტიური სისულელე.

ამ მექანიზმს ჰიტლერის ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა გერმანელი პასტორი დიტრიხ ბონჰოფერი. მას აინტერესებდა, როგორ დაკარგა მაღალი კულტურის გერმანულმა საზოგადოებამ მორალური ორიენტირები და როგორ იქცა აგრესიულ, დამყოლ მასად. მისი დაკვირვებით, კოლექტიური სისულელე უპირველესად გონებრივი უძლურება კი არა, მორალური უკანდახევაა — კრიტიკული აზროვნების ნებაყოფლობითი დათმობა და პირადი პასუხისმგებლობის გადაბარება. სწორედ ასე ავსებს „ჩუმი უმრავლესობა“ სულელური მმართველობის მიერ შექმნილ სიცარიელეს და ბოლოს თვითონვე ხდება მისი სტაბილურობის საყრდენი.

თუ მმართველი ელიტა მხოლოდ მის გარშემო შემოკრებილ სულელებსა და მოსულელო ბანდიტებს დაეყრდნობა, ისინი ბუნებრივად განიზიდავენ ზომიერ და პროფესიულ ფენას, ხოლო ინსტიტუტები კადრებისა და კომპეტენციისგან დაიცლება. შედეგად მყარდება სულ უფრო დამაზიანებელი, „სულელური“ მმართველობა, რომელიც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ კეთილდღეობას თვითდაზიანების სპირალში აქცევს. ასეთ პირობებში პასიური „რუხი უმრავლესობა“ ნაკლებად მიყვება დომინანტურ პროცესს და ვერ ასტაბილურებს მას, ხოლო გონიერთა არაორგანიზებული წინააღმდეგობა — მკაფიო და დამაჯერებელი ალტერნატივის გარეშე — ვერ ქმნის საკმარის ძალას, რომ ვარდნა შეაჩეროს.

თუმცა არსებობს სხვა სცენარიც. თუ მმართველი ელიტა მეტ-ნაკლებად გონიერია, ის ეტაპობრივად ჩამოიშორებს იმ სულელებს, რომლებმაც თავისი როლი უკვე შეასრულეს, და შეეცდება კომპეტენტური, სანდო კადრების მოზიდვას ადმინისტრირების, ეკონომიკური მართვისა და უსაფრთხოების სფეროებში. შედეგად შეიძლება დამყარდეს მეტ-ნაკლებად მყარი ავტოკრატიული მმართველობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანას აქვს საკმარისი ბუნებრივი რესურსი და ეკონომიკური პოტენციალი, რათა მინიმალური სტაბილურობა შეინარჩუნოს.

ამრიგად, საბოლოო სცენარს განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა: მმართველი ჯგუფისა და მის გარშემო შეკრებილი ელიტის ინტელექტუალური დონე და პროფესიული უნარები, ქვეყნის რესურსები და გონიერთა აქტიურობა. სწორედ ამ გადაკვეთაში წყდება, გადაიქცევა თუ არა სისულელის ამოფრქვევა ხანგრძლივ კოლექტიურ მდგომარეობად, თუ სისტემა სხვა — თუნდაც ავტორიტარული, მაგრამ უფრო ორგანიზებული — ფორმით დასტაბილურდება.

გონიერთა პასუხისმგებლობა

მიუხედავად გარემოებებისა, ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის ტვირთი საბოლოოდ მაინც გონიერებს რჩებათ. ამ პასუხისმგებლობას ისინი ვერ გადააბარებენ ვერც სულელებს, ვერც ბანდიტებს და ვერც უმწეოებს, რადგან მხოლოდ მათ აქვთ ცოდნა, ხედვა და უნარი გარემოს ადეკვატურად გააზრებისა და საზოგადოების სასიკეთოდ საკუთარი ქმედების მართვისა. ამიტომ გონიერებმა უნდა აიღონ სრული — და არა ნაწილობრივი — პასუხისმგებლობა: გაიარონ გზა შედეგებით უკმაყოფილო, პასიური „ობიექტიდან“ მიზეზებზე, ალტერნატივებზე და გამოსავალზე მომუშავე ქმედით „სუბიექტამდე“.

ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ წინააღმდეგობა, არამედ იმის გაცნობიერება, თუ როგორ მუშაობს სულელური მმართველობა, როგორ ითრევს ადამიანებს კოლექტიურ სისულელეში და რა პირობებში მყარდება იგი. ამის გარეშე რეაქცია ადვილად შეიძლება ისევ იმავე წრეზე ტრიალად დარჩეს, რომელსაც თვითონვე ვაკრიტიკებთ.

ამიტომ გონიერთა ამოცანა მხოლოდ სულელებთან ბრძოლა ვერ იქნება. სულელებთან პირდაპირი, დამანგრეველი ომი ხშირად მხოლოდ სიძულვილის ენერგიას ზრდის და იმავე მექანიზმს ამაგრებს, რომელსაც წინააღმდეგობას ვუწევთ. უფრო მნიშვნელოვანი ხდება სიტუაციაზე ამაღლება და ისეთი ცივილიზებული მომავლის სურათის შეთავაზება, რომელიც ნდობის, ღირსების და თანამშრომლობის აღდგენაზე იქნება დაფუძნებული.

ეს არის მეთოდური, თანმიმდევრული მუშაობის გზა, სადაც მთავარი იარაღი არა დაპირისპირება, არამედ ახალი განვითარების გზების ჩვენებაა. გონიერებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ რეალისტური ალტერნატივა — ისეთი გზა, რომელიც არა მხოლოდ სწორი, არამედ ადამიანებისთვის დასაჯერებელი და მისაღებიც იქნება. ამ ალტერნატივამ ადგილი უნდა მოუძებნოს მათაც კი, ვინც დღეს შეცდომაშია შეყვანილი, რადგან მდგრადი გამოსავალი მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა საზოგადოებას დაშლის კი არა, ხელახლა შეკვრის შესაძლებლობას აძლევს.

სისულელის ზეობისას ყველაზე საშიშია გონიერთა სისუსტე, სიჩუმე, დაღლილობა და შემრიგებლობა: „**გონების ძილი ბადებს მონსტრებს**“ — და სისულელე მაშინ უფრო თამამად, უფრო ფართოდ და უფრო დამაზიანებლად ვრცელდება.

4. სულელური მმართველობა და მასთან ურთიერთობა

წინა ნაწილში აღვნიშნეთ, რომ საზოგადოების კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა, ყველა გარემოებაში — მათ შორის სისულელის ზეობისა და სულელური მმართველობის პირობებშიც — საბოლოოდ მაინც გონიერ ადამიანებს ეკისრებათ. მხოლოდ მათ გააჩნიათ ამისთვის საჭირო ინტელექტუალური, მორალური და სულიერი ძალა, რომ შეზღუდული თავისუფლების პირობებშიც კი აიღონ მეტი პასუხისმგებლობა, გაიაზრონ ვითარება და იმოქმედონ ისე, რომ სარგებელი მოუტანონ როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებსაც. მათ შეუძლიათ დაეყრდნონ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, პროფესიულ ცოდნას, ისტორიულ მეხსიერებას, სულიერებას და პიროვნულ ღირსებას.

სხვაგვარად შეიძლება ითქვას: ჭეშმარიტად გონიერი ის არის, ვინც ნებისმიერ ვითარებაში ცდილობს გააცნობიეროს მოვლენების არსი და იმოქმედოს საერთო კეთილდღეობისათვის. ამ მისიის შესრულება მოითხოვს მოთმინებას, სიბრძნესა და წინდახედულობას — უპირველესად გარემოებების, და საბოლოოდ საკუთარი თავის გაცნობიერებას. სისტემური ხედვა გვკარნახობს რომ მოვლენებს მიღმა პროცესები და კანონზომიერებები დავინახოთ, შემდეგ კი იმ უფრო ღრმა სისტემური სტრუქტურები რაც ამ ტენდენციებს იწვევს. მდგომარეობის გამოსწორებას სწორედ სისტემური ცვლილებები ესაჭიროება სადაც ყველაზე ღრმა და ქმედითი ცვლილება შეხედულებების და მენტალური მოდელების (ხშირად საკუთარი თავის) შეცვლაა.

სულელური მმართველობა

ავტორიტარიზმის დამყარების შემდეგ განვითარების ორი შესაძლო გზა ჩნდება. თუ ელიტა მეტ-ნაკლებად გონიერი და ორგანიზებულია, ხოლო სახელმწიფოს საკმარისი ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსი აქვს, მან შეიძლება ინსტიტუტების ქმედუნარიანობა ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნოს, ტექნოკრატიული კადრები მოიზიდოს და შექმნას შედარებით სტაბილური, თუმცა დამთრგუნველი ავტოკრატია — ზოგჯერ გარკვეული კეთილდღეობითაც.

მაგრამ თუ მმართველი ელიტა უუნაროა და მის გარშემო სულელებისა და მოსულელო ბანდიტების კონცენტრაცია მაღალი რჩება, რესურსები არასწორად იმართება და სტაბილობა ვერ ყალიბდება. ინსტიტუტები იცლება კომპეტენციისგან და მყარდება სულელური მმართველობა.

სულელურია მმართველობა, როდესაც ქვეყნის შიგნით ნორმად იქცევა მოქალაქეების და ინსტიტუტების დაზიანება, მის გარეთ კი — საერთაშორისო პოზიციებისა და კავშირების შესუსტება, ისე, რომ ეს საბოლოოდ სარგებელს არ აძლევს არც სახელმწიფოს, არც საზოგადოებას და არც თავად მმართველ ჯგუფს. ასეთი მმართველობა თვითდაზიანების რეჟიმში ამყოფებს ქვეყანას: ვიწრო წრის მოკლევადიანი ინტერესი ჭამს საზოგადოებრივ-გრძელვადიანს, ხოლო მდგრადი განვითარების ნაცვლად დგება დესტაბილიზაცია და ნგრევა, რომელიც საბოლოოდ ყველას აზიანებს — მათ შორის დროებით დაწინაურებულებსაც.

ასეთი სისტემა ეყრდნობა განსხვავებული აზრისა და განსხვავებულთა მიუღებლობას და ახალისებს სხვათა დაზიანებას. როგორც საბჭოთა ტერორის დროს, სხვათა დასმენა, დევნა და დამცირება შეიძლება კარიერული დაწინაურების, ქონების დაუფლების ან გავლენის მოპოვების

გზად იქცეს. ამგვარი მმართველობა მეთოდურად ანადგურებს ქვეყნის პროფესიულ, კულტურულ და სამეცნიერო პოტენციალს, ხოლო საზოგადოებრივ ენერგიას შიდა დაპირისპირებაში ფლანგავს.

სულელური მმართველობის მახასიათებლები

სულელურ მმართველობას, როგორც წესი, არ აქვს პოზიტიური პასუხები არც საკუთარი თავისთვის და არც საზოგადოებისთვის. მას არ გააჩნია ქვეყნის განვითარების გამართული ხედვა, ვერ აყალიბებს ნათელი მომავლის პროექტს და ვერ ქმნის ისეთ წესრიგს, რომელიც საერთო კეთილდღეობას გააძლიერებდა. მის არსენალში უფრო ხშირად არის საყვედური, ეჭვი, ბრალდება და მტრის ძიება, ვიდრე შემოქმედებითი პასუხი. კომპეტენციის ნაკლებობის გამო, პრობლემების გადაჭრის ნაცვლად იგი მათ ამრავლებს და ართულებს. იზრდება აგრესია და თვითიზოლაცია, რაც საბოლოოდ ყველას აზიანებს და მთელ საზოგადოებას თვითდაზიანების რეჟიმში ამყოფებს.

სულელური მმართველობა შინაგანად არაჰუმანურია. სულელური მმართველობისთვის უცხოა სულიერება, თანაგრძნობა და ადამიანური ღირსების დაფასება. შესაბამისად, მათი მმართველობაც ემყარება არა ადამიანის შესაძლებლობების გაძლიერებას, არამედ მის დათრგუნვასა და კონტროლს. ასეთი სისტემა მორგებულია არა მოქალაქის, არამედ „სახელმწიფოს“ სახელით შეფუთულ მმართველთა ინტერესებზე. ადამიანის მიმართ უგულო დამოკიდებულება ვლინდება ყველაფერში — ინფრასტრუქტურიდან და საჯარო სერვისებიდან დაწყებული, კანონებით, წესებითა და საჯარო პოლიტიკით დამთავრებული.

სტაბილურობისთვის სულელურ მმართველობას იდეოლოგიაც სჭირდება. ეს შეიძლება იყოს მწყობრი იდეოლოგიური სისტემა — ფაშიზმი, ნაციზმი, კომუნიზმი, ჩუჩხე — ან უფრო უსისტემო, მაგრამ მაინც ეფექტური ნარატივების ნაკრები, რომელიც „მტრის ხატს“ ქმნის, აგრესიას აღვივებს და მის მიმართულებას განსაზღვრავს. ასეთი იდეოლოგია საშუალებას იძლევა მართვის უუნარობით გამოწვეული კრიზისები გარე თუ შიდა „აგენტებს“, „მოღალატეებს“ ან სხვა პირობით მტრებს გადაბრალდეს. მტრის სახელის მიკერება ამავე დროს გზას უხსნის სულელებსა და ბანდიტებს, რომ საკუთარი მომხვეჭელობა და დამაზიანებელი ინსტინქტები გონიერებისა და ზომიერების წინააღმდეგ მიმართონ. ამ თვალსაზრისით „მტრის ხატი“ სულელური რეჟიმის თავდაცვითი რეაქციაა საკუთარ უუნარობაზე. თუმცა აქვე იკვეთება ასეთი სისტემის შიდა სისუსტეც: იდეოლოგია, რომელიც ძირითადად მტრების მოგონებაზე, შიშის აღძვრაზე და ბელადისა თუ ჯგუფისადმი პიროვნულ ლოიალობაზე დგას, ძნელად თუ გახდება გრძელვადიანი სტაბილობის მყარი საფუძველი. მას შეუძლია მობილიზება, მაგრამ უჭირს შენება; შეუძლია აგრესიის ორგანიზება, მაგრამ ვერ ქმნის საერთო კეთილდღეობის დამაჯერებელ სურათს.

სულელური მმართველობა ვერ ეგუება მრავალფეროვნებას, თავისუფლებასა და კონკურენციას. მისთვის იდეალურია მკაცრად რეგულირებული გარემო, სადაც თვითდამკვიდრების მთავარი გზა ბრმა კოლექტიური ლოიალობა და ინსტინქტური დამყოლობაა. ასეთ წესრიგში გონიერება და პროფესიონალიზმი საფრთხედ აღიქმება, ამიტომ სისტემა მეთოდურად დევნის დამოუკიდებლად მოაზროვნეებს ან აიძულებს მათ კრიტიკული აზრის დათმობას — ერთგვარ „გასულელებას“. შეტევის მთავარი ობიექტი ხდება განათლება, კულტურა და სულიერება — ადამიანური ყოფიერების ის სფეროები, რომლებიც პიროვნული თავისუფლების საყრდენია.

რადგან ამ სფეროების სიღრმე სულელური მმართველობისთვის გაუგებარი და მიუწვდომელია, იგი ცდილობს მათ დისკრედიტაციას და დასუსტებას, რათა მოსპოს ყოველგვარი ინტელექტუალური ალტერნატივა.

სულელური მმართველობის მნიშვნელოვანი ნიშანია საინფორმაციო ველის დავიწროებაც. მრავალგანზომილებიანი სამყაროს სირთულე დაიყვანება ვიწრო, შავ-თეთრ სურათამდე, რაც სულელური ცნობიერებისთვის უფრო მოსახერხებელია. იქმნება ცრუ საფრთხეებით სავსე გამრუდებული რეალობა: ჩვენ და ისინი, მტერი და მეგობარი, ერთგული და მოღალატე. რაც უფრო სულელურია მმართველი ელიტა, მით უფრო ვიწრო და შეზღუდულია ეს საინფორმაციო სივრცე და ოფიციალური ლექსიკა. ამგვარად, სულელური მმართველობის გამყარება დიდწილად საჯარო აზრის დავიწროების პროცესიცაა. ამას ხშირად ვერ ამჩნევენ თავად სულელები, ვისთვისაც მრავალფეროვანი რეალობა არც არასდროს ყოფილა ადვილად გასაგები; ვერც ისინი ამჩნევენ, ვინც ნებაყოფლობით დათმო კრიტიკული აზროვნება.

საბოლოოდ, სულელური მმართველობის მთავარი სისტემური მახასიათებელი უარყოფითი გადარჩევაა. სისტემა თანდათან განდევნის უფრო კომპეტენტურ, პასუხისმგებლიან და დამოუკიდებელ ადამიანებს და მათ ადგილს ავსებს უფრო დამყოლი, უფრო შეზღუდული და უფრო მორჩილი ფიგურებით. ამით იწყება დაღმავალი სპირალი: რაც უფრო სუსტდება პროფესიონალიზმი და ღირსება, მით უფრო იმატებს სისულელე; რაც უფრო იმატებს სისულელე, მით უფრო ზიანდება ქვეყანა, საზოგადოება და თავად სახელმწიფოებრივი სიცოცხლისუნარიანობა. ჩიპოლას დამასრულებელი აბზაციც ამ მდგომარეობას აღწერს.

გონიერთა სამოქმედო პრიორიტეტები

სულელურ მმართველობას ვერ დაუპირისპირდება მხოლოდ აღშფოთება. გონიერთა ამოცანა უნდა იყოს არა მხოლოდ საფრთხის დანახვა, არამედ იმ საზოგადოებრივი და მორალური პირობების აღდგენა, რომლებიც სისულელის დამაზიანებელ ძალას ზღუდავს და საერთო კეთილდღეობის შესაძლებლობას აძლიერებს.

საზოგადოებრივი სტანდარტების აღდგენა

სულელები ყოველთვის არიან და ყოველთვის იქნებიან. მათი დამაზიანებელი ქცევა ან იზღუდება, ან წახალისდება იმ საზოგადოებრივი სტანდარტებით, რომლებიც მათ ირგვლივ მოქმედებს. ამიტომ გონიერთა პირველი ამოცანაა ჯანსაღი სტანდარტების აღდგენა. კვლავ ფასეული უნდა გახდეს არა უხეშობა და მოჩვენებითი ერთგულება, არამედ გონიერება, პროფესიონალიზმი, ღირსება, თანაგრძნობა და პასუხისმგებლობა. საჯაროდ უნდა დაფასდეს ის ადამიანები და მათი ნამოქმედარი, რომლებმაც საზოგადოებას რეალური სარგებელი მოუტანა — ჭეშმარიტი რწმენით, ნამდვილი მეცნიერებით, სულიერად ღრმა ხელოვნებით, ქვეყნის ინტერესებზე მიმართული პროფესიული საქმიანობით, პასუხისმგებლიანი კანონშემოქმედებით და სახელმწიფოებრივი აზროვნებით. მკაფიოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ჭეშმარიტი რწმენა ფორმალური რიტუალი კი არა, შინაგანი სიწმინდე, თავშეკავება, სათნოება და სიკეთის კეთებაა; ნამდვილი მეცნიერება — არა ყალბი წოდებები, არამედ სიმართლის ძიება, ახალი ცოდნის შექმნა და ინტელექტუალური პატიოსნებაა; ნამდვილი ხელოვნება — არა მლიქვნელობა, არამედ სულისა და თავისუფლების დაცვა; ნამდვილი სახელმწიფოებრივი საქმიანობა კი — არა

ჯგუფური სარგებლის მომსახურება, არამედ ქვეყნის და მისი მოქალაქეების გრძელვადიანი ინტერესების მსახურება. ხელისუფლებები უნდა შეფასდეს არა მითოლოგიურ მტრებთან ბრძოლით არამედ რეალურად გაკეთებული კარგი საქმეებით, მოქალაქეების კეთილდღეობისთვის გაწეული შრომით. სწორედ ასეთი სტანდარტების გახსენებით და აღდგენით შეიძლება საზოგადოებამ კვლავ დაიბრუნოს საზომი, რომლითაც გონიერი და დამაზიანებელი ქცევა ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნება.

გამაერთიანებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩარჩო

საზოგადოებას ვერ გააერთიანებს მხოლოდ პროტესტი. საჭიროა ისეთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ხედვის აღდგენა, რომელიც დაუპირისპირდება სიხარბეზე, ვიწრო ინტერესებზე და ცრუპატრიოტულ დაპირისპირებაზე აგებულ იდეოლოგიას. ამ ხედვამ უნდა შესთავაზოს საზოგადოებას არა მორიგი მტრის ხატი, არამედ ქვეყნის და მისი მოქალაქეების საერთო მომავლის დამაჯერებელი სურათი — ისეთი, სადაც თავისუფლება, ღირსება, თანამშრომლობა, პროფესიონალიზმი და განვითარება ერთმანეთის წინააღმდეგ კი არ დგას, არამედ ერთიან სახელმწიფოებრივ ამოცანად იკვრება. მხოლოდ ასეთ პოზიტიურ ჩარჩოს შეუძლია დამანგრეველი დაპირისპირების ნაცვლად ადამიანებს საერთო საქმეში მოუყაროს თავი.

საინფორმაციო ველის დაცვა

საზოგადოების სიჯანსაღე შეიძლება შეფასდეს იმით, რამდენად მრავალფეროვანია იდეების, ცნებებისა და თემების სივრცე, რომელიც საჯარო განხილვაში რჩება. საზოგადოება უფრო ჯანსაღია, როცა მისი ყურადღება მიმართულია არა მხოლოდ შიდა დაპირისპირებაზე, არამედ საერთო კეთილდღეობის, განვითარების, რეგიონული და გლობალური გამოწვევებისკენაც. დაავადების ნიშანია, როცა მრავალგანზომილებიანი რეალობა ბრტყელ, შავ-თეთრ სურათამდე დაიყვანება და თანამშრომლობის ნაცვლად დაპირისპირების ნარატივი ხდება წამყვანი.

ამიტომ საზოგადოების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი საინფორმაციო ველის დაცვა და შენარჩუნებაა. გონიერთა ამოცანაა, საზოგადოების ინტერესის და განხილვის სფეროში შეინარჩუნონ ის საკითხები, რომლებიც აზროვნებას აფართოებს, რეალობას ამრავალფეროვნებს და საზოგადოებას საკუთარ მდგომარეობაზე უფრო ღრმად აფიქრებინებს.

ამ ამოცანების შესრულებას ტაქტიკური ძვრებიც ესაჭიროება. მათ შორის:

თვითცენზურის დაძლევა

პროპაგანდა მუდმივად მუშაობს საინფორმაციო სივრცის შეზღუდვაზე და გამრუდებული, ვიწრო და შავ-თეთრი რეალობის შენარჩუნებაზე. ასეთ პირობებში გონიერთა ერთ-ერთი პასუხისმგებლობა ხდება ფართო საზოგადოებისთვის ფართო და მრავალფეროვანი თვალსაწიერის შენარჩუნება. ამისთვის კი ხშირად ყოველდღიური სიმამაცეა საჭირო.

ავტორიტარიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოკავშირე თვითცენზურაა. იგი ბუნებრივი თავდაცვითი რეაქციაა აგრესიულ გარემოში, მაგრამ თუ იგი მუდმივ ჩვევად იქცა, საზოგადოება სწრაფად კარგავს აზრის განვითარების სივრცეს. ამიტომ თვითცენზურის დაძლევა მხოლოდ პირადი გამბედაობის აქტი არ არის — ის ასევე ქმნის პრეცედენტს სხვებისთვის და იცავს

საზოგადოებას კრიტიკული აზროვნების საბოლოო დათმობისგან. *(აქ მუშაობს გამაძლიერებელი უკუკავშირის მარყუჟი)*

გონიერთა თანამშრომლობა მედეგობისთვის

გონიერთა ამოცანაა მედეგობაც — მაქსიმალურად გადაარჩინონ ცოდნის, აზროვნების, პროფესიონალიზმისა და კულტურის კერები; მოძებნონ ახალი ფორმები, თანამშრომლობის გზები და გავრცელების არხები, რათა ერისა და ქვეყნის ინტელექტუალური და პროფესიული პოტენციალი მაქსიმალურად შენარჩუნდეს. ეს საჭიროა იმის შეგნებით, რომ რეალობის გააზრება და მის შესაბამისად ქმედება საბოლოოდ ყველასთვის სასარგებლოა — მათ შორის მათთვისაც, ვინც დროებით გარემოებებმა მათთვის შეუფერებელ ადგილზე მოაქცია.

გონიერთა თანამშრომლობა განსაკუთრებით რთულია, რადგან ისინი პროპაგანდის ტყვეობაში მოქცეული ადამიანებივით მარტივად ერთ ხაზზე არ დგებიან. მათ შორის ბუნებრივად არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ინტერესების და ტაქტიკის განსხვავებაც. სწორედ ამიტომ მათი თანამშრომლობა უფრო მეტ შინაგან შრომას მოითხოვს. მათი გამაერთიანებელი მთავარი ინტერესი შეიძლება იყოს ქვეყნის, მისი შთამომავლობის, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. ეს საჭიროებს ისეთ პროცესს, რომელიც ინდივიდების ძალისხმევას გააძლიერებს და მათ ერთ კონსტრუქციულ მიზანზე მიმართავს.

სისტემური აზროვნება გვასწავლის, რომ მედეგობის ერთ-ერთი საფუძველი სისტემის შიგნით კავშირების სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. ეს ცოდნა პრაქტიკული კავშირების მრავალფეროვნებასა და სიმრავლეში უნდა აისახოს.

ადამიანებთან მუშაობა

საზოგადოების ფართო ფენებთან მუშაობა და მათთან ცოცხალი კავშირების შენარჩუნება გადამწყვეტია. ადამიანთა დიდი ნაწილი მოქმედებს იმ ავტორიტეტების, ნორმებისა და საზოგადოებრივი დაკვეთის მიხედვით, რომელიც მათ გარშემოა, თუმცა ენდემურად სულელი არ არის. ისინი შეიძლება იქცეოდნენ როგორც საკუთარი თავის და სხვების საზიანოდ, ისე პირიქით — სასარგებლოდაც, თუ გარემოება და საზოგადოებრივი მიმართულება ამას მოითხოვს.

ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს კეთილგანწყობითა და მზრუნველობით, იმის შეგნებით, რომ გონიერებს პასუხისმგებლობა მთელ საზოგადოებაზე ეკისრებათ და არა მხოლოდ მის ერთ ნაწილზე. აქ მათი მთავარი ძალა არის სიმართლე, სიყვარული, სიკეთე, სულიერება და ნამდვილი რწმენა — სიკეთის კეთების სურვილი, მათ შორის მათთვისაც, ვინც დღეს შეცდომაშია შეყვანილი ან საკუთარი შეზღუდულობით სხვებს აზიანებს.

5. ურთიერთობა სულელებთან

სულელები ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან. მათთან ურთიერთობა ისევე გარდაუვალია, როგორც სიკვდილი და გადასახადები. ამიტომ აქ სიფრთხილე და წინდახედულობა ზედმეტი კი არა, აუცილებელია.

სისულელის ადრეული აღმოჩენა

ჩიპოლას მეოთხე კანონი ამბობს, რომ გონიერი ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ სულელთა ზიანის მომტან ძალას და მათთან საქმის დაჭერისას ავიწყდებათ, რომ ასეთი ურთიერთობა თითქმის ყოველთვის საზიანოა. სულელთა მოულოდნელად დიდი რაოდენობა ამ საფრთხეს კიდევ უფრო ზრდის და მათი ადრეული ამოცნობის საჭიროებას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.

ამისთვის შეიძლება რამდენიმე ნიშანი გამოვიყენოთ, რომლებიც დიდი ალბათობით ფარულ სისულელეზე მიანიშნებს.

- **ყოველდღიური გაღიზიანება, უკმაყოფილება და ღია თუ ფარული აგრესია** — გონიერი ადამიანისგან განსხვავებით, სულელი წარუმატებლობას თითქმის ყოველთვის გარემოებებს და სხვებს აბრალებს. გარემოსთან შეუგუებლობა მისთვის მუდმივი გაღიზიანების წყაროა.

- **დოგმატური აზროვნება** — ინდივიდუალური განსჯის ჩანაცვლება კოლექტიური ლოზუნგებით, ბელადომანიითა და ფორმალური რიტუალებით. ეს შინაგანი სულიერი სიმწირის და დამოუკიდებლობის ნაკლებობის ნიშანია.

- **იუმორის დეფიციტი** — იუმორი მოვლენების მოულოდნელი კუთხით დანახვის და ერთმანეთთან დაკავშირების უნარია, რაც შინაგან თავისუფლებას მოითხოვს. სისულელეს კი საკუთარი შეზღუდულობა და თვითგამოვლენის შიში ხშირად იუმორის მიმართ უგრძნობელს ხდის, რაც ნაძალადევ ხუმრობებითაც ვლინდება.

- **ინსტიტუტების, სისტემებისა და მეცნიერების მიმართ უნდობლობა** — პროფესიული ცოდნის და მეცნიერული პროცესის გაუგებრობა სულელებს ადვილად აქცევს კონსპირაციული თეორიებისა და პოპულისტი „ექსპერტების“ მსხვერპლად, და მათ ერთგულ მიმდევრად აქცევს;

- **ზედმეტი თავდაჯერებულობა** — დანინგ-კრუგერის ეფექტის მიხედვით, რაც უფრო მწირია ცოდნის ჰორიზონტი, მით უფრო მაღალია თავდაჯერებლობა, ვინაიდან ადამიანმა არ იცის თუ რამდენი რამ არ იცის. აქედან მოდის მსჯელობის და დასკვნების კატეგორიულობა რაც ხშირად გონიერებს აბნევს.

ეს ნიშნები ცალ-ცალკე არც აბსოლუტურია და არც ყველასთვის ერთნაირად დამახასიათებელი. მაგრამ მათი სისტემატური და ერთობლივი გამოვლინება ენდემური სისულელის საკმაოდ სანდო ინდიკატორია.

არსად ისე აშკარად არ ვლინდება სისულელე, როგორც საგზაო მოძრაობაში, სადაც მძღოლი თავისი გადაწყვეტილებებით თითქმის უშუალოდ ავლენს საკუთარ ბუნებას. თუ ეს ბუნება სულელურია, ვხედავთ სხვების წინ ჩახტომას, მოძრაობის ჩახერგვას, უმიზნო გადასწრებას, „გაზაობას“. მოსულელო ბანდიტიზმი კი ვლინდება ბასლაინებზე სიარულში და წესების დემონსტრაციულ უგულებელყოფაში საკუთარი უპირატესობის საჩვენებლად. ამ სისტემურ სფეროში მკაფიოდ ჩანს მართვისა და ორგანიზების ხარისხიც, სადაც სისულელის ფასს მოქალაქეები საკუთარი დროით, ნერვებით და საწვავით იხდიან.

სისულელის მიმართ ინდივიდუალური სიფრთხილე საფრთხეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს. სულელების დიდი რაოდენობის გამო აუცილებელია საზოგადოების თავდაცვითი მექანიზმების და იმუნიტეტის გაძლიერებაც, რომ სისულელე კოლექტიურ მოვლენად არ ჩამოყალიბდეს და ეპიდემიის ხასიათი არ მიიღოს.

სულელებთან ურთიერთობის სისტემური გამოწვევები

გონიერებსა და სულელებს შორის ურთიერთობა რთულია არა მხოლოდ განსხვავებული თვისებების, არამედ სტრუქტურული უთანასწორობის გამოც. იქ, სადაც ერთ მხარეს მოქმედებს თავშეკავება და ფართო ხედვა, მეორე მხარეს შეიძლება მოქმედებდეს ინსტინქტი, აგრესია და შეზღუდული, მაგრამ უფრო უშუალო რეაქცია. ქვემოთ სწორედ ამ უთანასწორობის მთავარ გამოვლინებებს განვიხილავთ.

1. პარიტეტის დარღვევა სულელთა სასარგებლოდ

გონიერთა ყველაზე დიდი შეცდომა სულელებთან ურთიერთობაში საკუთარი თავის პროეცირებაა. გონიერი ადამიანი ბუნებრივად ელის, რომ ყველა მასავით გამოავლენს ღირსებას, თანაგრძნობას, თანამშრომლობის მზაობას და სიკეთის კეთების უნარს. საკუთარი თავის პატივისმცემელი გონიერები საკუთარ ღირსებას და პატივისცემას სხვებზეც ავრცელებენ, რითაც სულელებს კომფორტულ გარემოს და ნამდვილი ბუნების შენიღბვის შესაძლებლობას უქმნიან.

სულელებთან საქმე სხვაგვარად არის. მათ იგივე სიქველეები გათავისებული არა აქვთ. რადგან საკუთარ ბუნებას იცნობენ, სხვისი სიკეთის დაჯერებაც უჭირთ. გონიერს თვალთმაქცად მიიჩნევენ, პატივს არ სცემენ და ამის გასამართლებლად ხარვეზის პოვნას ცდილობენ. როცა ამას ვერ ახერხებენ, კიდევ უფრო ბრაზდებიან.

ამიტომ გონიერთა და სულელთა ურთიერთობაში ნდობის პარიტეტი დარღვეულია. ნებისმიერი დაპირისპირებისას სულელები თავიდანვე მზად არიან მტრული ქმედებისთვის, ხოლო გონიერებს დრო სჭირდებათ, სანამ თავიანთ მიამიტობას გადააბიჯებენ და აქტიურ თავდაცვას დაიწყებენ.

საკუთარი თავის პროეცირების შეცდომა ხსნის იმასაც, თუ რატომ ვერ აფასებენ გონიერები სათანადოდ სულელების რეალურ რაოდენობას (ჩიპოლას 1 კანონი) და რატომ ტყუვდებიან კვლავ და კვლავ, როცა ფიქრობენ, რომ მათთან თანამშრომლობით სასარგებლო შედეგს მიიღებენ (მე4 კანონი).

2. თვალსაწიერის ასიმეტრია

გონიერებსა და სულელებს შორის კომუნიკაციას დაღს ასვამს ინტელექტის, ცოდნის და ინტერესთა განსხვავება. საუბრისას ისინი შეიძლება ერთსა და იმავე სიტყვებსაც იყენებდნენ, მაგრამ სულელი თავის შეზღუდულ და ბრტყელ რეალობაში რჩება, მაშინ როცა გონიერი ბევრად უფრო მრავალგანზომილებიან და მდიდარ სურათს გულისხმობს.

ეს განსაკუთრებით პრობლემურია კამათში და საჯარო დებატებში. სანამ გონიერი თავის რთულ სურათს გაიაზრებს და სულელისთვის გასაგებ ენაზე გადათარგმნის, დანინგ-კრუგერის ეფექტით

გათამამებული სულელი მარტივ, ხშირად მცდარ, მაგრამ ადვილად მოსანელებელ დებულებას ისვრის. სწორედ ამიტომ მისი გადარწმუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამიტომ დებატები სულელებთან არ უნდა ისახავდეს მიზნად მათი აზრის შეცვლას და დაჯერებას. მათი ნამდვილი ადრესატი უფრო შეიძლება იყოს არასულელი მერყევი მასა — ისინი, ვინც ჯერ კიდევ არჩევანისა და განსჯის სივრცეში რჩებიან. აქაც გასათვალისწინებელია თვალსაწიერის შესაძლო უთანაბრობა.

3. სისულელე და განათლება

სულელებთან ურთიერთობისას გონიერთა კიდევ ერთი შეცდომაა განათლების და გონიერების გაიგივება. ჩიპოლას მეორე კანონის მიხედვით, ფორმალური განათლება არ არის სისულელისგან თავისუფლების ნიშანი. ადამიანთა ყველა დიდ ჯგუფში — მათ შორის განათლებულებშიც და ნობელის ლაურეატებშიც — სულელად ყოფნის ალბათობა მეტ-ნაკლებად ერთნაირია.

ამიტომ დიპლომი, წოდება, კარიერული წარმატება ან სოციალური სტატუსი თავისთავად არაფერს ამბობს იმაზე, შეუძლია თუ არა ადამიანს საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის სიკეთის მოტანა, თუ მხოლოდ ზიანის წყაროა.

4. სისულელის დამარცხება

გონიერთა ნებისმიერი მცდელობა, რომ ვირ-ეშმაკობაში აჯობონ სულელებს, თითქმის ყოველთვის დამარცხებისთვისაა განწირული. სულელების ინსტინქტები მორალური ბარიერებით შეზღუდული არ არის, ხოლო თავიანთ ბრტყელ საარსებო სივრცეში დაგროვილი გამოცდილება მათ ამ ტიპის დაპირისპირებაში უპირატესობას აძლევს.

გონიერების ნამდვილი ძალა სხვაგან არის — სიმართლეში, სიყვარულში და სიკეთეში. ამ ინსტრუმენტების სწორი და დამაჯერებელი გამოყენებით ბევრად უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე უშუალო შეჯიბრებით სიბნელისავე წესებით. სულელთა პიროვნული ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო არარეალისტურია მათი მორალის, მსოფლმხედველობის და გონებრივი ჰორიზონტის ძირეულად შეცვლა. მაგრამ შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ არსებობს ალტერნატიული რეალობა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს და რომლის წინაშეც იძულებითი დამორჩილებაც კი ნაკლებ დამანგრეველია, ვიდრე უკონტროლო სისულელე.

5. სისულელე და იუმორი

იუმორი სულელების სუსტი წერტილია — ფაქტობრივად მათი აქილევსის ქუსლი. ამავე დროს, კეთილი და არა დამცინავი იუმორი შეიძლება უებარი წამალი გახდეს სისულელის სენისა და სულელთა აგრესიის წინააღმდეგ. იგი ართმევს მათ აბსოლუტური სერიოზულობის ნიღაბს, ამცირებს შიშს და სულელურ ქცევას საკუთარი აბსურდულობის წინაშე აყენებს.

ამ აზრით, იუმორი არა მხოლოდ თავდაცვის ფორმაა, არამედ ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანური იარაღიც. ნორმალური საზოგადოებრივი წესრიგის პირობებში სწორედ

ასეთი დისტანციით შეიძლება გაგრძელდეს სულელებთან თანაცხოვრებაც, ურთიერთობაც და ზოგჯერ მეგობრობაც.

კარგი დაფიქრება და ცხოვრებისეული გამოცდილების გახსენება კიდევ ბევრ ასეთ მინიშნებას გვაძლევს. ეს გამოცდილება ამოუწურავი არ არის, მაგრამ ხშირად საკმარისია, რომ სულელებთან ურთიერთობაში გზა უკეთ გავიკვლიოთ.

6. მენტალური მოდელების ცვლილება

სისტემების არასასურველი მოქმედების შეცვლის ყველაზე ქმედითი მექანიზმი მათი ფუნქციონირების საფუძველში არსებული მენტალური მოდელების შეცვლაა. ეს ყველაზე ძნელი გადასალახავი ბარიერია, რადგან საკუთარ ხედვებზე, ჩვევებზე, თვითაღქმაზე და სხვათა შეფასების წესებზე უარის თქმას ან მათ გადახედვას მოითხოვს. მაგრამ ამავე დროს ეს ყველაზე შედეგიანი გზაცაა, რადგან სწორედ აქ იბადება ახალი მიდგომა, ახალი ენერგია და ახალი სოციალური ქცევა.

სისტემური ცვლილება იწყება მაშინ, როდესაც გონიერები ერთიანდებიან არა ვინმეს წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ ახალი ღირებულებითი სისტემის გარშემო შესათანხმებლად და მის საფუძველზე სამოქმედოდ. საჭიროა ისეთი ინტელექტუალური და მორალური საყრდენების შექმნა, რომლებიც ახალ, ალტერნატიულ რეალობას გააჩენს და სულელურ მმართველობას არსებობის საფუძველს გამოაცლის. ამისთვის კი აუცილებელია არა მხოლოდ სხვების შეცვლის სურვილი, არამედ საკუთარი თავის შეცვლაც — საკუთარი მიდგომების, ქცევის და პასუხისმგებლობის გადახედვა. ეს არის პირველი აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც შემდგომი განვითარების გზებს ხსნის.

გონიერთა თვითდამკვიდრება

უპირველესად, გონიერებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა მთელ საზოგადოებაზე და მოახდინონ საკუთარი თავის აქტუალიზაცია — გარემოებათა მიუღებლობიდან კონსტრუქციული გარდაქმნის გზაზე გადავიდნენ. მათი სიძლიერის წყარო უნდა იყოს სიმართლით თავდაჯერებულობა და შეგნება, რომ ისინი მთელი საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებენ. ისინი არ უნდა დარჩნენ მხოლოდ განაწყენებულ დამკვირვებლებად. ჯერ უნდა გახდნენ მოვლენების ობიექტური შემფასებლები და გამოსავლების მაძიებლები, შემდეგ კი აქტორები, რომლებიც საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში საზოგადოების გაჯანსაღებაზე ზრუნავენ.

გონიერები ისინი არიან, ვინც ამ პასუხისმგებლობას იღებენ. ჩიპოლას განმარტებით, გონიერი ისაა, ვინც აკეთებს სიკეთეს საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც. არა ის, ვინც მხოლოდ აპროტესტებს რეალობას და პასუხისმგებლობას გაურბის.

მოკრძალებიდან თავაზიან დამკვიდრებამდე

ცივილიზებულ გარემოში გონიერები მოკრძალებულები არიან და სულელებთან ურთიერთობაში ერიდებიან თავიანთი ინტელექტუალური თუ მორალური უპირატესობის დემონსტრირებას.

მაგრამ სისულელის ამოფრქვევის პირობებში ეს მოკრძალება ხშირად სისუსტედ აღიქმება და ხელს უშლის სიმართლისა და სიცრუის გარჩევას. როდესაც გონიერი ადამიანები კვაზილიბერალური მიმიკრიით არიან დაკავებული, „ხალხოსნობენ“ და განზრახ ამარტივებენ საკუთარ პროფესიულ თუ საურთიერთობო ენას, იშლება ზღვარი ცოდნასა და უცოდინარობას შორის და დანინგ-კრუგერის ეფექტით გაბრუებულ სულელებს დამატებით ილუზიას უქმნიან, თითქოს ისინი არიან სამყაროს ცენტრი და სამყარო მათ უნდა ერგებოდეს, და არა პირიქით.

ასე მეცნიერება, კულტურა და სულიერება ადამიანის გონისა და სულის მწვერვალად კი აღარ ჩანს, არამედ ნორმალურობიდან გადახრად. ამით გონიერები გაურბიან საკუთარ მოვალეობას — საზოგადოებას აჩვენონ მაგალითი, სტანდარტი და განვითარების გზა. სწორედ ეს მიდგომაა შესაცვლელი. გონიერებს აქვთ შესაძლებლობა მოწოდების სიმაღლეზე დადგნენ და დაიბრუნონ საზოგადოების ლიდერის ფუნქცია. აჩვენონ, თავაზიანად და მყარად აჩვენონ რომ ცოდნა, კულტურა, თანაცხოვრება და თანამშრომლობა არის ნორმა, და არა ურთიერთ დამცირება და ურთიერთდაზიანება.

სტატუსიდან პირად ღირსებებზე

ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ძვრა საზოგადოების მენტალურ მოდელებში შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი შეფასების სტანდარტის შეცვლა. თანამოქალაქეთა შეფასებისას ყურადღება უნდა გადაერთოს „გუნდის“, აკადემიის, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებიდან და ლოიალობიდან პიროვნულ ღირსებაზე; არც თანამდებობაზე და არც რიტუალების შესრულებაზე, არამედ იმაზე, შეუძლია თუ არა ადამიანს საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის სიკეთის მოტანა.

სწორედ საკითხის ასე დასმა ხსნის გზას საზოგადოებრივი დისკუსიისთვის იმაზე, თუ რა არის ნამდვილი პირადი და საზოგადოებრივი სარგებელი. გონიერებმა ეს მოთხოვნა ჯერ საკუთარ თავს უნდა დაუყენონ და შემდეგ სცადონ მისი გავრცელება მთელ საზოგადოებაზე. მხოლოდ ასე შეიძლება შეფასების სოციალური საზომი გადავიდეს ფორმალური ავტორიტეტიდან რეალურ ქმედებაზე.

პოლიტიკოსთა და ხელისუფლებების შეფასება

ჩამორჩენილი, არადემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მახასიათებელია თანამდებობის პირთა მიმართ გადაჭარბებული პიეტეტი და აპრიორი დაშვება, რომ თანამდებობის პირი მცოდნე და ჭკვიანია, ყველა შეკითხვაზე პასუხი აქვს, ხოლო მისი ხელდასხმა თავად ხელისუფლებაში ყოფნიდან მომდინარეობს. ამ მახეში ებმებიან თავად თანამდებობის პირებიც: მათ უწევთ საკუთარი უპირატესობის დამტკიცება, ამისთვის კი ხელოვნურად მედიდური პოზის დაჭერა სჭირდებათ და ეკარგებათ როგორც შეკითხვის მოსმენის უნარი, ისე მისი ატანის ფუფუნება. შედეგად იქმნება მენტალური წნეხი, რომ მათ ყველა კითხვაზე მზად უნდა ჰქონდეთ პასუხი, ხოლო შეცდომა, უცოდინარობა და არაკომპეტენტურობა დაიფაროს ბრძოლის, დაპირისპირების და სიმკაცრის რიტორიკით. ასეთ დროს მათთვის შეკითხვის დასმაც კი შეტევად აღიქმება.

ამ სტიგმის მოხსნა აუცილებელი წინაპირობაა განვითარების შესაძლებლობის გასაჩენად. ამისთვის საჭიროა ხელისუფალთა მიმართ ნაკლებად პიროვნული და მეტად საქმეზე

ორიენტირებული შეფასება. საზოგადოების დიდ ნაწილში შემორჩენილი მენტალური მოდელი — „ვინც ზემოთაა, ის ჭკვიანია“ — უნდა შეიცვალოს უფრო პრაგმატული და სკეპტიკური მიდგომით: ვინც ზევითაა, საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ქვეყნისთვის სასარგებლოა და რომ საკუთარი ქცევით საზოგადოებრივ სიკეთეს ზრდის. ხელისუფლება უნდა შეფასდეს არა მითოლოგიურ მტრებთან დეკლარირებული ბრძოლით, არამედ რეალურად გაკეთებული კარგი საქმეებით, მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის გაწეული შრომით, ინსტიტუტების გაძლიერებით და ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესების მსახურებით.

სისულელის პრეზუმფცია

ნორმალურ გარემოებებში სულელები სარგებლობენ გონიერთა კეთილგანწყობით და თავაზიანობით — იმ დაშვებით, რომ ყველა მეტ-ნაკლებად გონიერია და თანასწორად ღირსეული. სისულელის ამოფრქვევის პერიოდში ეს დაშვება უკვე საზოგადოების დაზიანებას უწყობს ხელს. საჭიროა ეს კომფორტი მოიხსნას და საზოგადოება, თავაზიანობის შენარჩუნებით, გადავიდეს სისულელის პრეზუმფციაზე — ყურადღებიან, მაგრამ სკეპტიკურ განწყობაზე, რომელიც სხვებისგან მოითხოვს საკუთარი გონივრულობის გამოვლენას და აპრიორი არ უშვებს მას.

ეს არ ნიშნავს ინდივიდუალურ დადანაშაულებას სისულელეში. ეს ნიშნავს მხოლოდ კრიტიკულ სიფხიზლეს: ადამიანები ერთმანეთს უფრო ფრთხილად და კრიტიკულად უნდა უყურებდნენ, იმ წინასწარი მოთხოვნით, რომ პატივისცემას საქმით დადასტურება სჭირდება. ამის საზომი კი ერთადერთია — საკუთარი თავისთვის და სხვისთვის სარგებლის მოტანის უნარი. თუ ეს სოციალური მენტალობის ძვრად იქცა, იგი მნიშვნელოვნად შეცვლის როგორც ურთიერთობას, ისე ძალაუფლების შეფასების წესებს.

საზოგადოების ბედი წყდება იქ, სადაც იცვლება არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ის წარმოდგენები, რომლითაც ადამიანები აფასებენ საკუთარ თავს, სხვებს და ძალაუფლებას. მხოლოდ ამ ძვრით შეიძლება მოიშალოს სისულელის გამრავლების ნიადაგი და გაჩნდეს ახალი, უფრო გონიერი რეალობის შესაძლებლობა.

და ბოლოს: *რუსეთი მტერია! არა მხოლოდ იმიტომ რომ ისტორიულად დაპყრობილი ვყავდით და ახლაც იგივეს აპირებს. უფრო იმიტომ, რომ ეს არის ქვეყანა სადაც სისულელებმა გაიმარჯვეს. ისინი ყველგან თავის მსგავსებს მოკავშირეებად ეძებენ და მათი გაძლიერებით ბნელეთის გავრცელებას ცდილობენ მთელს მსოფლიოში. ისინი არიან მტრები არა მარტო ჩვენი - არამედ მთელი კაცობრიობის და საკუთარი თავის!*

მურმან მარგველაშვილი

აპრილი- ივნისი 2026